აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 18

2 ნოემბერი 2023 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (09-01-08/53 25.10.2023 წელი)

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები ელ. ბაგრატიონი, გ. აბულაძე, ლ. ანთაძე, მ. სურმანიძე, გ. კირთაძე, მ.ვასაძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები ელ. ბაგრატიონი, გ. აბულაძე, ლ. ანთაძე, მ. სურმანიძე, გ. კირთაძე, მ.ვასაძე
ავტორი	ინიციატორი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

25.10.2023 წელი	წამყვანი კომიტეტი: 22.11.2023წ. სხვა კომიტეტები: 16.11.2023წ.	საშემოდგომო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ განსახილველად ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტს.

გთხოვთ დაიწყოს უმაღლესი საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული კანონპროექტის განხილვა.

უმაღლესი საბჭოს წევრები:

1. ელგუჯა ბაგრატიონი
2. გია აბულაძე
3. ლევან ანთაძე
4. მამული სურმანიძე
5. გიორგი კირთაძე
6. მედეა ვასაძე

02-01-08/53
25.10.2020
41

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ" (12.06.2023 წ, N78-IIს) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. **მე-4 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

ბ) გამჭვირვალობა – საბიუჯეტო პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისა და უმაღლეს საბჭოში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტისა და მისი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

2. **მე-6 მუხლის „ხ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

ხ) პროგრამა – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, გააჩნია მიზნებისა და პროგრამის აღწერა, განმარტებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების რომელი მიზნის მიღწევას ემსახურება პროგრამა, ფინანსური გეგმა, შედეგების შუალედური და საბოლოო შეფასების გაზომვადი ინდიკატორები, განმარტება პროგრამის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობის შესახებ, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისათვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება;

3. მე-16 მუხლის მე-3, მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს, გარდა სარეზერვო ფონდიდან, ასევე წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებებისა. აღნიშნული გადანაწილების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ უნდა აცნობოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ყველა კომიტეტს და ფრაქციას, ცვლილებების განხორციელებიდან 5 დღის ვადაში;

8. მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი წინადადებებისა და ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თანხები შესაძლებელია

გადანაწილდეს საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების 2%-ს. აღნიშნული გადანაწილების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ უნდა აცნობოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ყველა კომიტეტს და ფრაქციას, ცვლილებების განხორციელებიდან 5 დღის ვადაში;

9. ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ღონისძიებებში ცვლილებები (მათ შორის ახალი ღონისძიების დამატება) შესაძლებელია განხორციელდეს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის მთლიანი ასიგნების 5 %-ისა. აღნიშნული გადანაწილების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ უნდა აცნობოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ყველა კომიტეტს და ფრაქციას ცვლილებების განხორციელებიდან 5 დღის ვადაში;

4. მე-19 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაციით:

1. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ. პრიორიტეტების დოკუმენტი შემუშავებული უნდა იქნას რეგიონის მთავარი გამოწვევების და საჭიროებების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული განვითარების მიზნების, ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის გათვალისწინებით.

7. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტები ამ მუხლით დადგენილი წესით, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარუდგენენ შესაბამისი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, რომელიც დაერთვება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარსადგენ პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტს;

5. მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის ,,დ" და ,,ე" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაციით:

დ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის მხარჯავი დაწესებულების შტატით, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით,

ე) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის პროგრამებს და მათი დაფინანსების ოდენობებს, მიზნებს, შედეგებს და მოსალოდნელი შედეგების გაზომვის ინდიკატორებს;

6. მე-19 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს ბ[1] ქვეპუნქტი

ბ[1]) რეგიონის მთავარი გამოწვევებისა და საჭიროებების კვლევის შედეგების, სტრატეგიული მიზნების შესახებ ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო პრიორიტეტების განსაზღვრას;

7. მე-19 მუხლს დაემატოს 5[1] პუნქტი

5[1] ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, არაუგვიანეს 20 ივლისამდე უზრუნველყოფს პრიორიტეტების განხილვას მოსახლეობასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა მუნიციპალიტეტში და განხილვის პროცესში გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს დაურთავს პრიორიტეტების დოკუმენტს, რომელიც წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

8. 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუნიციპალიტეტზე გადაცემულ მიზნობრივ ტრანსფერთან დაკავშირებით, რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის ფორმდება უფლებამოსილებათა დელეგირების ხელშეკრულებები, რომელიც უნდა მოიცავდეს უფლებამოსილების დელეგირების ფარგლებს, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების წესსა და შედეგებს, შედეგების გაზომვის ინდიკატორებს, შეფასების წესსა და ვადებს.

9. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიმართოს ფინანსური დახმარების სახით კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში აღინიშნება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი, მიზანი, შედეგების შეფასების ინდიკატორები და ტრანსფერის მოცულობა. კაპიტალური ტრანსფერით განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, შესაბამისი ბიუჯეტით უნდა დაერთოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარდგენილი რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს.

10. 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რეადქციით

ა.გ) მხარჯავი დაწესებულებისათვის დამტკიცებულ და დასაქმებულთა საპროგნოზო, მათ შორის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული და შტატგერეშე მოსამსახურეთა რიცხოვნება და დაფინანსების ოდენობა;

11. 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
3. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა მუნიციპალიტეტში, მიზნობრივ ჯგუფებთან და ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარუდგენს არაუგვიანეს 25 ოქტომბრისა.

12. 26-ე მუხლს დაემატოს 3^1 და 3^2 პუნქტები:

3^1 ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მოსახლეობისათვის ჩართულობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო უზრუნველყოფს განხილვების ორგანიზებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა მუნიციპალიტეტში და მიზნობრივ ჯგუფებთან, რისთვისაც შეხვედრების თარიღის, დროსა და ადგილის შესახებ ინფორმაციას აწვდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს და აქვეყნებს სამინისტროს ვებგვერდზე არაუგვიანეს 5 დღით ადრე.

3^2 ბიუჯეტის პროექტის მუნიციპალიტეტებში და მიზნობრივ ჯგუფებთან განხილვისას გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები აისახება ოქმში, რომელიც უნდა დაერთოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს, ასევე კანონპროექტის განმარტებით ბარათში უნდა აისახოს გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებული იქნა თუ არა ბიუჯეტში.

13. 28-ე მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს „ე" და „ვ" ქვეპუნქტები:

ვ) კაპიტალური ხარჯებით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალს, მუნიციპალიტეტებისა და თითოეული პროექტის სავარაუდო ღირებულების გათვალისწინებით;

ვ) ბიუჯეტის პროექტის მუნიციპალიტეტებში და მიზნობრივ ჯგუფებთან განხილვებისას გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების ნუსხას, მუნიციპალიტეტების მიხედვით;

ზ) დასკვნას ბიუჯეტის პროექტისა და პროგრამების „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობის შესახებ;

14. 34-ე მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი

6. ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერას უგზავნის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყველა კომიტეტსა და ფრაქციას;

15. 35-ე მუხლს დაემატოს მე-12 და მე-13 პუნქტები

12. მხარჯავი დაწესებულება უზრუნველყოფს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ გამოთხოვილი ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებას ბიუჯეტის ხარჯვასთან დაკავშირებით. ინფორმაციის გაუცემლობა ან გაცემის დაყოვნება იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

13. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს უფლება აქვს შექმნას ბიუჯეტის დაგეგვისა და შესრულების მონიტორინგის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ზრდისა და საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალეობის დამატებითი მექანიზმები;

16. 38-ე მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს მე-6 პუნქტი

6. წმინდა მოგების განაწილებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ასლები, გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში ეგზავნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციას;

17. მე-40 მუხლის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, ასევე პროგრამის მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორების მიხედვით, დაგეგმილი და ფაქტობრივი შედეგების ძირითადი განსხვავებების განმარტებებს,

18. მე-40 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის თაობაზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიებების ნუსხა, გაწეული ხარჯების მოცულობასთან ერთად.

19. მე-40 მუხლს დაემატოს „გ" ქვეპუნქტი:

გ) ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, შესაბამისი, პასუხისმგებელი პირების მიმართ გასატარებელ, რეაგირების ღონისძიებებს;

20. 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ", „ე" და „ზ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, ასევე შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;

ე) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს, ასევე შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;

ზ) წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამების/ ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს, პროგრამებით გათვალისწინებული შეფასების ინდიკატორების მიხედვით;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 3. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ უზრუნველყონ:

ა) ამ კანონის ამოქმედებამდე, მიღებული/გამოცემული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა;
ბ) ამ კანონით გათვალისწინებული ახალი სამართლებრივი აქტების მიღება/გამოცემა.

აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე

თორნიკე
რიჟვაძე

ბათუმი,

---------- 2023 წ.

N ----------

უმაღლესი საბჭოს წევრები:

7. ელგუჯა ბაგრატიონი
8. გია აბულაძე
9. ლევან ანთაძე
10. მამული სურმანიძე
11. გიორგი კირთაძე
12. მედეა ვასაძე

მოქმედი რედაქცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (შემდგომ – ავტონომიური რესპუბლიკა) რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის (შემდგომ – რესპუბლიკური ბიუჯეტი) პროექტის მომზადების, განხილვის დამტკიცების, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის, რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებისა და მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას.

მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებზე, აგრეთვე მათ მიერ შექმნილ/დაფუძნებულ იურიდიულ პირებსა და ორგანიზაციებზე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სამეწარმეო იურიდიულ პირებზე, ასევე – წევრობაზე დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი არიან რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში თანხის განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციები.

მუხლი 3. ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები

ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს ორგანული

კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, ამ კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 4. საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები

საბიუჯეტო სისტემის თითოეულმა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის თითოეულ ეტაპზე უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები:

ა) ყოვლისმომცველობა – რესპუბლიკური ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილი ასახვა რესპუბლიკურ ბიუჯეტში;

ბ) გამჭვირვალობა – რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტისა და მისი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;

გ) ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;

დ) დამოუკიდებლობა – რესპუბლიკური ბიუჯეტის დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) ერთიანობა – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;

ვ) უნივერსალობა – რესპუბლიკური ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არცერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

ზ) კონსოლიდირება – რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა, გადასახდელების გადახდა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში.

მუხლი 5. საბიუჯეტო პროცესი

ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესი არის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა რეგლამენტირებული საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობა, რომელიც მოიცავს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, მასში ცვლილებების შეტანას, დაზუსტებას, რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

მუხლი 6. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება – ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტი – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ამ კანონის მიზნებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია/დაფუძნებულია ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი;

დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია/დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტონომიური
რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პ ირის მიერ;

ე) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი – ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

ვ) ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი – ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტის და მის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების ერთიანი

მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი არ ექვემდებარება ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

ზ) ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი – რესპუბლიკური ბიუჯეტის და ამ მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი არ ექვემდებარება ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

თ) წლიური ბიუჯეტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ კანონით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესაბამისი საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ბიუჯეტი;

ი) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ორგანოების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

კ) გადახდაზე ვალდებულების აღება – საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო წლის განმავლობაში განსახორციელებელ გადახდებზე, სახელმწიფო ხაზინაში დადგენილი წესით ვალდებულების რეგისტრაცია;

ლ) შემოსულობებიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტში განაწილების პროცენტული მაჩვენებლები – საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობებით დადგენილი წესით შემოსულობების წილი რესპუბლიკურ ბიუჯეტში, პროცენტებში. კანონმდებლობით ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და მის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის შემოსულობების განაწილება, საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან გრანტების მიღება ან გადმოცემა;

მ) დამტკიცებული ბიუჯეტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტი;

ნ) დაზუსტებული ბიუჯეტი – ამ კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე კორექტირებული ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი;

ო) ასიგნება – საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება;

პ) ბიუჯეტის განწერა – ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველთვიურად ან/და ყოველკვარტალურად განაწილება საბიუჯეტო

კლასიფიკაციის (გარდა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციისა) მიხედვით;

ჟ) მიზნობრივი ტრანსფერი – დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები;

რ) სპეციალური ტრანსფერი – სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება;

ს) კაპიტალური ტრანსფერი – კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან;

ტ) მხარჯავი დაწესებულება – ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია;

უ) საბიუჯეტო ორგანიზაცია – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფუძნებული ან/და მის მიმართ ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია;

ფ) ნაშთი – შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრები;

ქ) თავისუფალი ნაშთი – ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის;

ღ) ნაშთის ცვლილება – შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება;

ყ) ფულადი სახსრები – ავტონომიური რესპუბლიკის, ასევე ამ მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფულადი სახსრები და დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში, რომლებიც განთავსებულია სახელმწიფო ხაზინის სხვა ანგარიშებსა და კომერციულ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე;

შ) გრანტი – არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის;

ჩ) რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები – საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული აქტივები და ვალდებულებები;

ც) რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი – რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა არის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო. დადებითი მთლიანი სალდო არის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტი, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო არის რესპუბლიკური ბიუჯეტის დეფიციტი;

ძ) საბიუჯეტო უფლებამოსილება – ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა ამ კანონით რეგლამენტირებული უფლებამოსილებანი;

წ) ფინანსური ვალდებულების აღება – საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მომავალში ბიუჯეტიდან თანხის გაცემაზე ვალდებულების აღება;

ჭ) პრიორიტეტი – რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ძირითადი მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები/საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს. პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია ასევე გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები;

ხ) პროგრამა – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისათვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება;

ჯ) ქვეპროგრამა – მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა.

თავი II
ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები

მუხლი 7. საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადებისთვის, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შესახებ კანონის პროექტის მომზადებისთვის და დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ხოლო რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარდგენაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შესახებ კანონის პროექტის წარდგენაზე, რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის წარდგენაზე – ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაზე და რესპუბლიკური ბიუჯეტის კონტროლზე უფლებამოსილია ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

3. ავტონომიური რესპუბლიკის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება აღირიცხება სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით, მათი წარმოშობის წყაროს მიუხედავად, გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.

4. ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური და ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტების სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

5. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ზედამხედველობასა და კოორდინაციას უწევს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას.

6. ამ კანონით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო.

7. ამ კანონით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაზე და ბიუჯეტის კონტროლზე უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო.

8. ამ კანონის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე ვრცელდება ამ კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის განსაზღვრული რეგულაციები, მათ შორის, შემდეგ ღონისძიებებთან დაკავშირებული დებულებები:

ა) სესხის აღება და თავდებობა;

ბ) ბიუჯეტის, სახელფასო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;

გ) საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა, ანგარიშგება და ბალანსის წარმოება.

9. საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებში, მათ შორის, შესყიდვების პროცედურებთან დაკავშირებით, შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ითვლება ამ წყაროდან მიღებულ სახსრებად ეკონომიკურ საქმიანობაში ან/და საოჯახო მეურნეობებში გადასვლამდე, განურჩევლად მათი საბოლოო განმკარგავი იურიდიული პირის სტატუსისა.

10. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ამ კანონის მე-6 მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები:

ა) უფლებამოსილი არიან, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით გახსნან მიმდინარე ან/და სადეპოზიტო ანგარიშები კომერციულ ბანკებში. დაუშვებელია, მიმდინარე ანგარიშზე ანგარიშის მფლობელმა განახორციელოს სხვა ოპერაციები, გარდა სახელმწიფო ხაზინაში გახსნილი ანგარიშიდან სახსრების გადატანისა, სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ ანგარიშზე სახსრების დაბრუნებისა, სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის გადატანისა და სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის დაბრუნებისა. ამ კანონის მე-6 მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები აგრეთვე უფლებამოსილი არიან, ამ ანგარიშებზე არსებული სახსრები გამოიყენონ საბანკო გარანტიების, სესხებისა და აკრედიტივების უზრუნველყოფის საგნად ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის;

ბ) უფლებამოსილი არიან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით გახსნან ანგარიში კომერციულ ბანკში მათ განკარგულებაში დროებით არსებული სახსრების ან/და იმ სახსრების განთავსების მიზნით, რომლებიც შემოსავლად აღიარებამდე საჭიროებს უფლებამოსილი პირების მიერ დადასტურებას, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გადაეცეს თანხის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს, მიიმართოს რესპუბლიკურ ბიუჯეტში ან ანგარიშის მფლობელის სახელმწიფო ხაზინაში არსებულ ანგარიშზე ან გადამხდელს დაუბრუნდეს. ამ ანგარიშზე პროცენტების სახით დარიცხული თანხა ეკუთვნის ანგარიშის მფლობელს და დარიცხვისთანავე მიიმართება სახელმწიფო ხაზინაში არსებულ მის ანგარიშზე.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიების ამოქმედების შედეგად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში მესამე პირის მიერ წარდგენილი მოთხოვნის შესაბამისად, იმავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანგარიშებიდან ჩამოჭრილ თანხებს სახელმწიფო ხაზინა აღრიცხავს და ანგარიშგებაში ასახავს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

12. ამ კანონის მე-6 მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ იურიდიულ პირებზე შეიძლება გავრცელდეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით

გათვალისწინებულისგან განსხვავებული წესი, თუ ეს გამომდინარეობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან.

13. ამ კანონის მე-6 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ანგარიშები გახსნილია სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. ამ ანგარიშების მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშებიდან თანხის გადარიცხვაზე ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ შესაბამის იურიდიულ პირს. დაუშვებელია ამ იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში, მათ ანგარიშებზე არსებული სახსრების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახორციელებელი გადახდების შეზღუდვა.

14. საბიუჯეტო პროცესში გამოიყენება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის შესაბამისი მოდულები.

მუხლი 8. პროგრამული ბიუჯეტი

1. პროგრამულ ბიუჯეტში ასიგნებები გამოიყოფა პრიორიტეტების, პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. რესპუბლიკურ ბიუჯეტში ასიგნებები ასევე გამოიყოფა მხარჯავი დაწესებულებებისა და საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით.

2. პროგრამული ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ, ასევე ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ.

3. პროგრამული ბიუჯეტის შედგენისათვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

მუხლი 9. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებია, საანგარიშო პერიოდში, რესპუბლიკურ ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა:
ა) შემოსავლები;
ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);
დ) ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

მუხლი 10. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელებია, საანგარიშო პერიოდში, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა:

ა) ხარჯები;

ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);

გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);

დ) ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები).

მუხლი 11. პროგრამები

1. პროგრამების შერჩევის, მომზადების პროცედურები და ვადები განისაზღვრება ამ კანონით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

2. პროგრამებში ცვლილებები ხორციელდება ამ კანონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

მუხლი 12. საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები

1. საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები არის, წლიურ ბიუჯეტში პირველი თანრიგის კოდით გათვალისწინებული ასიგნება, რომელიც ცალკეულ კოდებად მოიცავს:

ა) ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას;

ბ) რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს;

გ) წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს;

დ) მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემ ტრანსფერებს;

ე) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს.

2. საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელების სხვა კატეგორიები შესაძლებელია განისაზღვროს წლიური ბიუჯეტით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ფონდების გარდა, სხვა საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელების განმკარგავი განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

მუხლი 13. რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

1. რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

2. სარეზერვო ფონდიდან თანხებს, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საფინანსო ორგანო.

მუხლი 14. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

1. რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

მუხლი 15. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

1. რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხებს, მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოყოფს საფინანსო ორგანო.

3. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

4. თუ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საფინანსო ორგანოს წარდგინებით, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

მუხლი 16. რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში

1. ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან სხვა მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა სარეზერვო ფონდიდან, ასევე წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებებისა, შეიძლება მხოლოდ რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანით.

2. მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის შესაძლებელია განხორციელდეს თანხების გადანაწილება ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

3. მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს, გარდა სარეზერვო ფონდიდან, ასევე წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებებისა.

4. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (პროგრამის/ქვეპროგრამის დამატება, პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელების შეცვლა) პროგრამულ კლასიფიკაციაში.

5. ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის, პროგრამის/ქვეპროგრამის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარედგინოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

6. საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი ასიგნებებით წლიური ბიუჯეტის დაზუსტება და ამ მუხლის მე-2–მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებები უნდა განხორციელდეს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო განსაზღვრავს ამ კანონის მე-6 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების დაზუსტების წესს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების (არასაბიუჯეტო სახსრების) ნაწილში.

8. მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი წინადადებებისა და ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თანხები შესაძლებელია

გადანაწილდეს საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების 2%-ს. აღნიშნული გადანაწილების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ უნდა აცნობოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

9. ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ღონისძიებებში ცვლილებები (მათ შორის ახალი ღონისძიების დამატება) შესაძლებელია განხორციელდეს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის მთლიანი ასიგნების 5 %-ისა.

მუხლი 17. საგანგებო ბიუჯეტი

საგანგებო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.

თავი III
რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

მუხლი 18. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინირება

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვისა და მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, ამ კანონით, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მიღება ხდება დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს დასაგეგმის შემდგომი საბიუჯეტო წლების შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზი.

3. შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების დადგენის საფუძველზე მზადდება დასაბუთება როგორც საბიუჯეტო გადასახდელების, ისე შემოსულობების ცალკეული სახეების გასაანგარიშებლად. ამასთან, რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ფორმირება წარმოებს შემოსულობების პროგნოზის გათვალისწინებით.

მუხლი 19. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი

1. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ.

2. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენას კოორდინაციას უწევს ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

3. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ყოველი წლის 1 მარტამდე, გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

4. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ყოველი წლის 15 ივნისამდე წარუდგენს მას ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღნიშნულ ინფორმაციაზე დასკვნას, არაუგვიანეს 30 ივნისისა, უგზავნის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

5. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

გ.ა) ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტებს;

გ.ბ) რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების პროგრამებს და მათი დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;

გ.გ) აგრეგირებულ მაჩვენებლებს რესპუბლიკური ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ;

დ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით;

ე) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის პროგრამებს და მათი დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

6. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, არაუგვიანეს 25 ივლისისა, იწონებს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა).

7. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტები ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარუდგენენ შესაბამისი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 20. ფინანსური დახმარების განაცხადის მომზადებისა და წარდგენის ვადები

1. დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების მიღების საჭიროებისას ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, არაუგვიანეს 15 ივნისისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ძირითად მონაცემებს, ფინანსური დახმარების მოცულობის განსასაზღვრავად.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს აცნობებს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე, ხოლო ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ – არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა.

3. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, არაუგვიანეს 10 ოქტომბრისა, საჭიროების შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარების საპროგნოზო მოცულობის განსაზღვრისათვის მონაცემებს.

მუხლი 21. მიზნობრივი ტრანსფერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინება და გამოყენება

1. არაუგვიანეს 5 ნოემბრისა, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებს აცნობებს დელეგირებული უფლებამოსილებების სახეებს, ღონისძიებებს, მომსახურების მოცულობებს და მიზნობრივი ტრანსფერის ძირითად პარამეტრებს.

2. საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრული პარამეტრების გათვალისწინებით, ამზადებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამების გაანგარიშებებს, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას და წარუდგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს.

3. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოებს შორის მზადდება ხელშეკრულების პროექტი დელეგირებულ უფლებამოსილებათა გადაცემის თაობაზე.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ წლიური კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ფორმდება უფლებამოსილებათა დელეგირების ხელშეკრულებები.

მუხლი 22. სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის წესი

1. სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. სპეციალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიმართოს ფინანსური დახმარების სახით სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. მიმართვაში აღინიშნება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.

3. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის სპეციალური ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურით.

მუხლი 23. კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის წესი

1. კაპიტალური ტრანსფერი გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიმართოს ფინანსური დახმარების სახით კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში აღინიშნება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.
3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის კაპიტალური ტრანსფერი გამოიყოფა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურით.

მუხლი 24. საბიუჯეტო განაცხადი და ზღვრული მოცულობები

1. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო უზრუნველყოფს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით საბიუჯეტო განაცხადის ფორმების მიწოდებას, რომელთა გამოყენებითაც მხარჯავმა დაწესებულებებმა ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ელექტრონულად უნდა წარადგინონ ინფორმაცია დასაგეგმი წლების ბიუჯეტების შესახებ.

2. მხარჯავი დაწესებულებების მიერ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილი ინფორმაცია დასაგეგმი წლების ბიუჯეტების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტით მხარჯავი დაწესებულებებისათვის განსაზღვრული კადრებისა და ასიგნებების ზღვრულ მოცულობებს.

3. საბიუჯეტო განაცხადს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარადგენენ ამ კანონის მე-6 მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომლებიც არ არიან რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები ან მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციები.

მუხლი 25. მხარჯავი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო განაცხადების წარდგენა

1. მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელები ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ არაუგვიანეს 25 აგვისტოსი. საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:

ა.ა) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;

ა.ბ) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
ა.გ) მხარჯავი დაწესებულებისათვის დამტკიცებულ და საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;

ა.დ) ინფორმაციას დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ;

ა.ე) ინფორმაციას ამ კანონის მე-6 მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ;

ბ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს, მათ დაფინანსებას, აღწერას, მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებს;

გ) ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას ამ კანონით საბიუჯეტო განაცხადის წარდგენისათვის გათვალისწინებულ ვადაში წარადგენენ ამ კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაციები.

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ ამ კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების ზევით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საბიუჯეტო განაცხადის წარდგენა დასაშვებია, მხოლოდ საბიუჯეტო განაცხადით გათვალისწინებული ფორმით.

4. თუ საბიუჯეტო განაცხადში ასახული ინფორმაცია განსხვავებული იქნება ამ კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ბ", „გ.გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისაგან, მხარჯავმა დაწესებულებამ, საბიუჯეტო განაცხადთან ერთად, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში უნდა წარადგინოს ინფორმაცია ამ განსხვავების მიზეზების შესახებ.

5. საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ასახვას რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტში უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

მუხლი 26. საბიუჯეტო განაცხადის განხილვა და რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადება

1. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა.

2. მხარჯავ დაწესებულებებსა და ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის შეუთანხმებელ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

3. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარუდგენს არაუგვიანეს 25 ოქტომბრისა.

4. ავტონომიური რესპუბლიკის დარგობრივი სამინისტროები და უწყებები რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში თანამშრომლობენ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამის დარგობრივ კომიტეტებთან, რომლებიც, საჭიროების

შემთხვევაში, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენენ თავიანთ მოსაზრებებს.

მუხლი 27. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებული დაფინანსების წესი

1. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას და მთავრობისათვის წარდგენას, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით, უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს, არაუგვიანეს საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი მტკიცდება უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, დადგენილებით. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტში უმაღლესი საბჭოსათვის გათვალისწინებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირება შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით – დადგენილებით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში დადგენილების მიუღებლობის შემთხვევაში, მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოსათვის მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

2. რესპუბლიკურ ბიუჯეტში უმაღლესი საბჭოსათვის გათვალისწინებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირება წინა და მიმდინარე წლების შესაბამის მოცულობასთან შედარებით შეიძლება, მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით – დადგენილებით.

მუხლი 28. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენა

1. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს, თანდართულ მასალებთან ერთად.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით:

ბ.ა) ხარჯები, მათ შორის, შრომის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი ასიგნებები;

ბ.ბ) არაფინანსური აქტივების ზრდა;

ბ.გ) ფინანსური აქტივების ზრდა;

ბ.დ) ვალდებულებების კლება;

გ) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;

დ) რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

ე) რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;

ვ) სარეზერვო ფონდის მოცულობას;

ზ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;

თ) პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს.

4. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

ა) რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ;

ბ) მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;

გ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;

დ) დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;

ე) ინფორმაციას ამ კანონის მე-6 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული ინფორმაცია, გარდა იმავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, წარდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

7. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი თანდართული მასალებით და ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს უმაღლეს საბჭოში წარდგენისთანავე.

8. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულისა, მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა და არ მტკიცდება უმაღლესი საბჭოს მიერ.

9. ამ კანონის მე-6 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტები მტკიცდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 29. ფინანსური დახმარების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინება

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს, არაუგვიანეს 5 ნოემბრისა, აცნობებს ფინანსური დახმარების საპროგნოზო ოდენობებს.

მუხლი 30. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვა და დამტკიცება

1. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე - რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტსა და მთავრობის მოხსენებას, მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ, წარადგენს (წარადგენენ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ან/და აჭარის ავტო ნომიური
რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრი (წევრები), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მ თავრობის თავმჯდომარის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიღებული დავალებით. უმაღლესი საბჭო ასევე ისმენს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებს.

2. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, ამტკიცებს ახალი საბიუჯეტო წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტს.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი ქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

4.რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 20 დღისა, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს.

5. უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს, არანაკლებ, ამ კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა"–„ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

მუხლი 31. ასიგნებები რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მიუღებლობის შემთხვევაში

საბიუჯეტო წლის დაწყებამდე რესპუბლიკური ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ბიუჯეტის დამტკიცებამდე, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით, გასცემს თანხებს მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა.

მუხლი 32. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანა

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვისა და მიღების წესი განისაზღვრება ამ კანონითა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.
2. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის განსახილველი პროექტი, რომელიც გავლენას ახდენს რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებული შემოსულობებისა ან/და გადასახდელების პროგნოზზე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ახლავს კანონის პროექტი რესპუბლიკურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გარდა ამ კანონის მე-16 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული კანონის პროექტი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონის პროექტი – ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებული რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში.
3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტზე დართული მასალები უნდა შეიცავდეს, რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო შედეგის პროგნოზებს, საშუალოვადიან მაკროეკონომიკური პროგნოზის განახლებულ ვერსიასთან და საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათი წარდგენა საჭირო არ არის ცვლილებების შინაარსიდან გამომდინარე.

მუხლი 33. სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საბიუჯეტო პარამეტრებთან

1. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საბიუჯეტო წელთან დაკავშირებული კანონპროექტი – მთავრობის თავმჯდომარის თანხმობით ან მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ზრდის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ოდენობას ან ამცირებს მის შემოსავლებს, წლის განმავლობაში კომპენსირებული უნდა იქნეს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

თავი IV
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება

მუხლი 34. რესპუბლიკური ბიუჯეტის განწერა

1. მხარჯავი დაწესებულებები რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საფინანსო ორგანოს წარუდგენენ ინფორმაციას, მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ.

2. საფინანსო ორგანო, მხარჯავ დაწესებულებებთან ერთად, იხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და არსებული რესურსების გათვალისწინებით, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 15 დღისა იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას, ასიგნებების დაფინანსების მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენისას, მხარჯავი დაწესებულებები ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ასევე წარადგენენ ინფორმაციას მათი და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ამ კანონის მე-6 მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების (გარდა საბიუჯეტო შემოსავლებისა) და ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების თაობაზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოსათვის

წარდგენილ, ამ კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადაში ასევე წარადგენენ ამ კანონის მე-6 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

მუხლი 35. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებლობა

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები.

2. საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებაზე და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსულობების მობილიზებაზე.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის, აგრეთვე ამ კანონით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ყველა შემოსულობა დაუყოვნებლივ მიიმართება შესაბამის ბიუჯეტში.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტი სრულდება შემოსულობებისა და გადასახდელების ცალკეული სახეობის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის მიხედვით.

5. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხისმგებელი უწყებები უზრუნველყოფენ ბიუჯეტში მისამართი შემოსულობების სრულად და დროულად მობილიზებას.

6. რესპუბლიკური ბიუჯეტის, აგრეთვე ამ კანონით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტები სრულდება საკასო მეთოდით. მიმდინარე რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების გაცემის უფლებამოსილება წყდება საბიუჯეტო წლის 31 დეკემბერს 24 საათზე.

7. დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ზევით გადახდაზე ვალდებულების აღება დაუშვებელია.

8. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გადახდაზე ვალდებულების აღებისა და გადახდის განხორციელების უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გამოცემული წესებით.

9. ასიგნებების ზევით ფინანსური ვალდებულების აღება დაუშვებელია, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და მრავალწლიანი შესყიდვებით ნაკისრი ვალდებულებებისა. მრავალწლიანი ფინანსური ვალდებულების აღება შესაძლებელია მხოლოდ საშუალოვადიანი გეგმით მხარჯავი დაწესებულებისათვის/პრიორიტეტისათვის

გათვალისწინებული ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში მრავალწლიანი ფინანსური ვალდებულების შესასრულებლად საჭირო სახსრები მხარჯავმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროექტში. აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით შესაძლებელია საშუალოვადიანი გეგმით გათვალისწინებული პარამეტრებისაგან განსხვავებული მრავალწლიანი ფინანსური ვალდებულების აღება.

10. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გააკონტროლოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით.

11. უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისათვის გადაცემული ფინანსური დახმარების ხარჯვაზე.

თავი V
სესხი

მუხლი 36. სესხის აღებისა და გაცემის უფლება

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების პროცესში, შემოსავლების უკმარისობის შემთხვევაში, დროებით წარმოქმნილ ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებით, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას უფლება აქვს აიღოს სესხი საქართველოს მთავრობისაგან ან/და სხვა წყაროებიდან მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით.

2. საბიუჯეტო სახსრები შეიძლება მიიმართოს დასაქმებისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით შეიძლება გაიცეს სესხები კონკურსის წესით, რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი ასიგნების ოდენობის არაუმეტეს 2%-ის ფარგლებში.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სესხი გაიცემა მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სესხის გაცემისათვის გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემის ანალოგიური ნორმები, გათვალისწინებული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით.

თავი VI
შემოსულობების განაწილება ბიუჯეტებს შორის

მუხლი 37. შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების წესი

1. შემოსულობები სახელმწიფო, რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს შორის ნაწილდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის დანართის შესაბამისად.

2. უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, დაადგინოს რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩარიცხული შემოსულობების რესპუბლიკის სხვა დონის ბიუჯეტებში განაწილების წესი.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების განაწილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა დონის ბიუჯეტებს შორის განისაზღვრება ამ კანონის დანართის შესაბამისად.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საქმიანობის განხორციელებისას, კონტრაქტორებისთვის დაკისრებული ჯარიმები/სანქციები/საურავები და სხვა შემოსულობები მიიმართება რესპუბლიკურ ბიუჯეტში. რესპუბლიკურ ბიუჯეტში მიიმართება ასევე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დონორისგან მიღებული დაფინანსების ფარგლებში საქმიანობის განხორციელებისას კონტრაქტორებისთვის დაკისრებული ჯარიმები/სანქციები/ საურავები, თუ დონორთან გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 38. ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილება და გამოყენება

1. ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებებს განიხილავს კომისია და გადაწყვეტილების მისაღებად (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა) წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს. კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგებიდან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურებით განსაზღვრული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადასარიცხი დივიდენდები, მთლიანად მიიმართება რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კომისიას უფლება აქვს განიხილოს საკითხი ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს წმინდა მოგებიდან საწარმოსათვის დატოვების შესახებ.

4. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილების, გამოყენების და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესისაგან განსხვავებულად მიმართვის შესახებ.

5. ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს, რომლის აქციები განთავსებულია უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე, წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი VII
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება

მუხლი 39. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება

1. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სტანდარტული სააღრიცხვო პროცედურებისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაცვა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცემული მითითებების შესაბამისად.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიში გახსნილია სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. ამ ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხის გადარიცხვაზე ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

3. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აღრიცხავს თითოეული მხარჯავი დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეულ გადასახდელებს, რაც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ. იგი ასევე აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს.

4. ყოველი კვარტალის დასრულებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, მხარჯავი დაწესებულებები ამზადებენ კვარტალურ ანგარიშებსა და ანგარიშგებებს.

5. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშს რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.

მუხლი 40. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ყოველკვარტალური მიმოხილვა

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ყოველი კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვას (ნაზარდი ჯამით), რომელიც მოიცავს:

ა) შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, ძირითადი განსხვავებების განმარტებებს;

ბ) ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის თაობაზე.

მუხლი 41. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგება

1. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და დადგენილ ვადებში, მხარჯავი დაწესებულებები ამზადებენ საბოლოო ანგარიშებსა და ანგარიშგებებს, რომელთა საფუძველზეც ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ამზადებს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშსა და ანგარიშგებებს და წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

2. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;

გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

დ) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;

ე) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;

ვ) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;

ზ) წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამების/ ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს;.

თ) ამ კანონის მე-6 მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

4. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე იღებს გადაწყვეტილებას რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განიხილება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

თავი VIII
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 42. კანონის ამოქმედებამდე არსებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოქმედება

ამ კანონის ამოქმედებამდე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის 1 აპრილის კანონის (გაზეთი „აჭარა", №38, 08-12.04.2010) საფუძველზე მიღებული/გამოცემული და მოქმედი სამართლებრივი აქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, კანონმდებლობით დადგენილი წესით მათ ძალადაკარგულად გამოცხადებამდე.

მუხლი 43. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყონ:
ა) ამ კანონის ამოქმედებამდე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის 1აპრილის კანონის (გაზეთი „აჭარა", №38, 08-12.04.2010) საფუძველზე მიღებული/გამოცემული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა;
ბ) ამ კანონით გათვალისწინებული ახალი სამართლებრივი აქტების მიღება/გამოცემა.

მუხლი 44. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის 1 აპრილის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" (გაზეთი "აჭარა", №38, 08-12.04.2010).

მუხლი 45. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

თორნიკე
რიჟვაძე

ბათუმი,

12 ივნისი 2023 წ.

N78-IIს

დანართი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების
განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით**

№	შემოსავლების დასახელება	მუნიციპალიტეტის (
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადახდევინებული მოსაკრებელი	100

განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილ კანონპროექტთან დაკავშირებით

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა.) კანონპროექტის მიღების მიზეზი

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი მოითხოვს დახვეწას, ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, კერძოდ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ერთერთი მთავარი ფუნქცია ბიუჯეტის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანაა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, საბიუჯეტო პროცესში მოსახლეობის ჩართულობა არის მინიმალური, თითქმის არ არიან მოქალაქეები ჩართული. არ ხდება რეგიონის პრობლემების კვლევა და უმაღლეს საბჭოში კვალიფიციური განხილვა, განსხვავებული აზრის მოსმენა და გათვალისწინება;
2. მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს ბიუჯეტის კანონპროექტის მომზადებისა და განხილვისას მოსახლეობის ჩართულობის ეფექტურ მექანიზმს;
3. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარმოდგენისას არ ხდება პროგრამების შეფასების ინდიკატორების მიხედვით მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა და მხოლოდ თანხების ხარჯვის სტატისტიკურ მონაცემებს მოიცავს;
4. პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის შედგენა არ ხდება კვალიფიციური კვლევების, სტრატეგიული განვითარების გეგმისა და გლობალური, ქვეყნის და რეგიონის უმნიშვნელოვანესი გამოწვევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ბიუჯეტი რეალურად ციფრებისა და სტატისტიკური მონაცემების გარდა სხვა მნიშვნელოვან სტანდარტებს არ აკმაყოფილებს;
5. ბიუჯეტის პროექტი და პროგრამები ხშირად არის დისკრიმინაციული გენდერული ნიშნით, უმაღლესი საბჭოს წევრებს და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებული არაერთ პირს გავლილი აქვს ტრენინგი გენდერულ ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებით, ამავე დროს მიღებულია კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", თუმცა მისი რეალური ამუშავებისათვის დღემდე არ ყოფილა მცდელობა, მათ შორის გენდერული ბიუჯეტის,

პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებასთან დაკავშირებით. ამიტომ მნიშვნელოვანია აღნიშნული დოკუმენტების მომზადებული იქნას ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონისა და გენდერული ბიუჯეტის მომზადების სპეციფიკის გათვალისწინებით.

6. საჯარო დაწესებულებების შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულია საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და სტაჟიორთა რიცხოვნების შეზღუდვის წესი, თუმცა საჯარო დაწესებულებები რამდენად იცავენ ამ წესს უცნობია, ასევე ამ თანამდებობებზე შრომის ანაზღაურების განსაზღვრის, დასაქმებულთა მიღების პროცესი არის გაუმჭვირვალე და ხშირ შემთხვევაში ხდება სახელისუფლებო პარტიული აქტივის დასაქმება, ეს ადამიანები სამსახურში გამოუცხადებლად და უფლება-მოვალეობების შესრულების გარეშე იღებენ შრომის ანაზღაურებას, უფრო მეტიც იყო ფაქტები კორუფციული გარიგებებისა, როცა ფიქტიურად ხდებოდა ადამიანების დასაქმება ხოლო გაცემული ანაზღაურება მიდიოდა მაღალი თანამდებობის პირების ჯიბეებში;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

წარმოდგენილი კანონპროექტი ხელს შეუწყობს:

1. საბიუჯეტო პროცესში (პროექტის მომზადების, განხილვისა და დამტკიცებისას) რეგიონის მოსახლეობის ჩართულობის ზრდას;
2. ბიუჯეტის გამჭვირვალეობის ზრდას და ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯვის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებას;
3. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის კვალიფიციურად წარმოდგენას;
4. პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის, ასევე პროგრამების მომზადებას რეგიონის გამოწვევების, საჭიროებების, სტრატეგიული განვითარების მიზნების, გაეროს გლობალური შეთანხმების, მდგრადი განვითარების მიზნების, ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის გათვალისწინებით და სხვა
5. იზრდება ანგარიშვალდებულება, ბიუჯეტში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება, რომელიც არ საჭიროებს უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებას, ცვლილების განხორციელებისთანავე უნდა ეცნობოს უმაღლეს საბჭოს, რაც ინფორმირებასთან ერთად გააუმჯობესებს კონტროლის მექანიზმებს;
6. ბევრი მცდელობისა და ტრენინგების შემდეგ მოხდეს გენდერული ბიუჯეტის მომზადება და მიღება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვისა და დამტკიცებისას მოსახლეობის ჩართულობის ეფექტურ მექანიზმს, წარმოდგენილი პროექტი იძლევა ამის შესაძლებლობას.

ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისას არ ხდება საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა, ამიტომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას. პრიორიტეტების და ბიუჯეტის შედგენისას სავალდებულო ხდება რეგიონის გამოწვევების, საჭიროებების კვლევა, სტრატეგიული განვითარების გეგმის, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების, ასევე ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის

შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინება და გენდერული ბიუჯეტის მომზადება.

ბიუჯეტის ანგარიშის წარმოდგენისას არ ხდება პროგრამებით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგების გაზომვა და მხოლოდ თანხების ხარჯვის სტატისტიკური მონაცემებს მოიცავს, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს პროგრამების შეფასების ინდიკატორების მიხედვით მიღწეული შედეგების გაზომვას და ანგარიშის ისე წარმოდგენას.

წარმოდგენილი კანონპროეტი აუმჯობესებს ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯვის კონტროლის მექანიზმებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

- კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

- კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

- კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები.

- კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

- კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება

- კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

- პოზიტიურ გავლენას მოახდენს, რადგან კანონპროექტი ითვალისწინებს დისკრიმინაციის აღმოფხვრას

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

- კანონპროექტის განხილვამდე იგეგმება არასამთავრობო სექტორთან და მიზნობრივ ჯგუფებთან განხილვა;

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ:

- კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.გ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წევრები: ელგუჯა ბაგრატიონი, გია აბულაძე, ლევან ანთაძე, მამული სურმანიძე, გიორგი კირთაძე, მედეა ვასაძე

გ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები:
  ელგუჯა ბაგრატიონი, გია აბულაძე, ლევან ანთაძე, მამული სურმანიძე, გიორგი კირთაძე, მედეა ვასაძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

26.10.2023
N 1946

1946-09-02-11-3-202310261709

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესახებ

(N09-01-08/53, 25.10.2023 წ. ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს წევრები: ელგუჯა ბაგრატიონი, გია აბულაძე, ლევან ანთაძე, მამული სურმანიძე, გიორგი კირთაძე, მედეა ვასაძე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

განხილვის შედეგად, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს წარმოდგენილი კანონის პროექტის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

წარმოდგენილ კანონის პროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში მითითებული კანონის პროექტის სახელწოდება სრულად არ შეესაბამება წარმოდგენილი კანონის პროექტის სახელწოდებას, არ არის ერთმანეთის იდენტური.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონპროექტს უნდა დაერთოს იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება. მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იმპერატიული მოთხოვნების დარღვევა, ვინაიდან წარმოდგენილ კანონპროექტს თან ერთვის მოქმედი კანონის სრული რედაქცია და არა მხოლოდ იმ

მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება.

წარმოდგენილ კანონის პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონპროექტი პოზიტიურ გავლენას მოახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, რადგან ითვალისწინებს დისკრიმინაციის აღმოფხვრას. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ[2]“ ქვეპუნქტითა და მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის პროექტის ზეგავლენის (თუ ასეთი ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელია) შეფასება უნდა მოიცავდეს იმ დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენის დასაბუთებას ან/და იმ დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენის შესახებ ინფორმაციას, რომელიც, ნორმატიული აქტის პროექტის ავტორის/ინიციატორის მოსაზრებით, შეიძლება ნორმატიული აქტის მიღებამ მოახდინოს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე. თუ, ნორმატიული აქტის პროექტის ავტორის/ინიციატორის მოსაზრებით, ნორმატიული აქტის მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის, იგი ამის შესახებ განმარტებითი ბარათის შესაბამის ნაწილში აღნიშნავს. ხოლო ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ[2]“ ქვეპუნქტითა და მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის პროექტის ზეგავლენის (თუ, ნორმატიული აქტის პროექტის ავტორის/ინიციატორის მოსაზრებით, ასეთი ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელია) შეფასება შეიძლება მოიცავდეს იმ შესაბამის ფაქტებზე, ინფორმაციის წყაროებზე ან/და მტკიცებულებებზე მითითებას, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების შეფასება და რომლებითაც ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი/ინიციატორი ხელმძღვანელობდა. მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, ვინაიდან წარმოდგენილი კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე არის ძალიან ზოგადი ხასიათის და ბუნდოვანი, არ არის მოცემული ზეგავლენის დასაბუთება ან/და ზეგავლენის შესახებ რაიმე ინფორმაცია, არ მოიცავს მითითებებს იმ შესაბამის ფაქტებზე, ინფორმაციის წყაროებზე ან/და მტკიცებულებებზე, რომლებითაც წარმოდგენილი კანონპროექტის გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების პროცესში ხელმძღვანელობდნენ კანონპროექტის ინიციატორები.

წარმოდგენილი კანონის პროექტი დანარჩენ ნაწილში შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მის მიმართ სხვა შენიშვნა არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

გელა ღოღობერიძე

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი